

585
1966 / 3



პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 12 (311)

1966 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემი

თბილისი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 12 (311)

დეკემბერი

1966 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

- 195. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წითელწყაროს, ყვარლის, ვანის, საგარჯოს, მცხეთისა და თიანეთის რაიონებში სასოფლო-საბჭოების შექმნის შესახებ.
- 196. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ.
- 197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.
- 198. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
- 199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რელიგიურ კულტთა კანონმდებლობის დარღვევისათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.
- 200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.
- 201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.
- 202. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

(საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია)

- 203. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
- 204. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 205. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.



206. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე და 56-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
207. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის ნორმის შეცვლის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 28-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
208. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
209. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ადმინისტრაციული წესით ჭარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლის დამატების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
210. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „რელიგიურ კულტა კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
211. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
212. კანონი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
213. დღგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აზხ. თ. ვ. გერსამიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.

განყოფილება მომრე

214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. ი. ა. გიორგბერიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზხ. შ. ვ. გრიგოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ს. დ. წვერავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეურნალ „პიონერის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის № 3 სამმართველოს მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ენერგოსისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სიგელით დაჯილდოების შესახებ.
222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. დ. უსტიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ი. ს. არდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ი. ზ. მონიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში.
საინფორმაციო ცნობა.

1966 წლის ანბანურ-სავნობრივი საძიებელი (დანართი).



ბანყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 საქართველოს სსრ წითელწყაროს, შვარლის, ვანის, საბარაჯოს, მცხეთის და თიანეთის რაიონებში სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოეყოს წითელწყაროს რაიონის არბოშივის სასოფლო საბჭოს სოფლები: ოზაანი, ცლუნჯაანი და შეიქმნას ოზაანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ოზაანში.
2. გამოეყოს ყვარლის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფელი მთისძირი და შეიქმნას მთისძირის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მთისძირში, ხოლო ენისელის სასოფლო საბჭოს — სოფლები: გრემი, შაქრიანი, გრძელიჭალა, ალმატი და შეიქმნას გრემის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გრემში.
3. გამოეყოს ვანის რაიონის ფერეთას სასოფლო საბჭოს სოფლები: კიროვი, ბაგინეთი და შეიქმნას კიროვის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ კიროვში.
4. გამოეყოს საგარეჯოს რაიონის იორმულანლოს სასოფლო საბჭოს სოფლები: დუზაგრამა, პაღლო, წიწმატიანი და შეიქმნას დუზაგრამის სასოფლო საბჭო ცენტრით დუზაგრამაში.
5. გამოეყოს მცხეთის რაიონის ნატახტარის სასოფლო საბჭოს სოფლები: წეროვანი, გოროვანი, ჩარდახი, სხალტბა და შეიქმნას წეროვნის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ წეროვანში.
6. გამოეყოს თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლები: დულელები, მაგრანეთი, თრანი, ხადოელები, წყაროთუბანი, გუდანელები, ტოლათსოფელი, კვირიასხევი, კვერნაულა, ბალებისხევი, სიონთგორი და შეიქმნას დულელების სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დულელებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. კვპაძე**.

თბილისი, 1966 წლის 9 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სახამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1967 წლის თებერვალში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-

რი ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა 1967 წლის თებერვალში ჩატარებული საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მსაჯულთა არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანავაძე.

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

197 მ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე გასვლის გამო, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: დაინიშნოს ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1967 წლის 15 იანვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანავაძე.

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.


დადგინებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

198 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 56-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291-ე მუხლში და ამ მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საცხოვრებელ სადგომს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლში გასცემს ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვ-



რებული სადგომის გაცემა ხდება ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, საცხოვრებელი სადგომი გაციემა ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ამასთან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უნდა აცნობონ, რომ საცხოვრებელი სადგომი გაციეულია ჩასასახლებლად. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში და სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა გაფორმდება საცხოვრებელი სადგომის ჭირავნობის ხელშეკრულებით შესაბამის სახლთმმართველობასთან“.

2. ეს ბრძანებულება შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

199 რელიგიურ კულტთა კანონმდებლობის დარღვევისათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:


დაწესდეს, რომ რელიგიურ კულტთა კანონმდებლობის დარღვევა, კერძოდ:

რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელობის მიერ თავის არიდება ხელისუფლების ორგანოებში ამ გაერთიანებათა რეგისტრაციისაგან;

რელიგიური შეკრებების და მსვლელობის ორგანიზაციისა და ჩატარების, აგრეთვე კულტის სხვა ცერემონიის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა;

კულტის მსახურთა და რელიგიურ გაერთიანებათა წევრების მიერ ბავშვთა და ახალგაზრდობის სპეციალური შეკრებების ჩატარება, აგრეთვე შრომითი საქმიანობის, ლიტერატურისა და სხვა წრეების და ჯგუფების მოწყობა, რომელიც არ არის დაკავშირებული კულტის შესრულებასთან, —

გამოიწვევს ჯარიმას ორმოცდაათ მანეთამდე.



დაჯარიმებას მოახდენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული უღმინისტრუქციული კომისიები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1966 წლის 3 თქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
200 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

„ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

- 1. დამატოს კოდექსს კარი მეშვიდე, შემდეგი შინაარსისა:

„ ბ ა რ ი მ ე შ ვ ი დ ე

ხულიგნობის საქმეთა წარმოება

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ი ც ა მ ი ტ ი

ხულიგნობის საქმეთა წარმოება

მუხლი 400. ხულიგნობის საქმეთა წარმოების წესი

ხულიგნობის საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრება წინამდებარე კოდექსის საერთო წესით, გარდა იმისა, რაც დადგენილია ამ თავის მუხლებით.

მუხლი 401. მასალების სასამართლოში გაგზავნის წესი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებთან დაკავშირებით, მილიციის ორგანოები და მოკვლევის სხვა ორგანოები, დაადგენენ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებს და სამართალდამრღვევის პიროვნებას, არაუგვიანეს ხუთი დღისა; იღებენ განმარტებებს სამართალდამრღვევისაგან, დაზარალებულისა და თვითმხილველისაგან, მოითხოვენ დახასიათებას სამართალდამრღვევის სამუშაო ადგილიდან ან სასწავლებლიდან, გამოითხოვენ ცნობას იმის შესახებ აქვს თუ არა მას ნასამართლობა და სხვა მასალებს, რომლებსაც მნიშვნელობა ექნებათ სასამართლოში საქმის განსახილველად.

სამართალდამრღვევის დაკავების, მისი პიროვნების და ჩადენილი დანაშაულის გარემოებათა დადგენის შესახებ უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც უნდა დაერქვას დანაშაულის სასამართლოში. ოქმს ამტკიცებს მოკვლევის ორგანოს უფროსი; ამის შემდეგ ყველა მასალას ვასაცნობად წარუდგენენ სამართალდამრღვევს, რის შესახებაც ოქმში კეთდება სათანადო აღნიშვნა; ოქმი მასალებთან ერთად იგზავნება სასამართლოში პროკურორის სანქციით.

მუხლი 402. მოკვლევა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების მოკვლევას აწარმოებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამოძიებლები, რომლებიც სარგებლობენ ამ კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების მოკვლევას აწარმოებენ მოკვლევის ორგანოები შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მოკვლევის ორგანოს უფროსი აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს იმ მიზეზით, რომ ხუთი დღის ვადაში შეუძლებელია გაირკვეს ჩადენილი დანაშაულის არსებითი ვარემოებანი;

ბ) თუ სასამართლო დააბრუნებს საქმეს ან შასალებს არსებითი მნიშვნელობის დამატებით ვარემოებათა დასადგენად, როცა სასამართლო სხდომაზე მათი დადგენა შეუძლებელია.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოკვლევა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ოცი დღისა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან საქმის დაბრუნების დღიდან.

მუხლი 403. წინასწარი გამოძიება

წინასწარი გამოძიება წარმოებს იმ დანაშაულთა საქმისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით და აგრეთვე ამ კოდექსის 126-ე მუხლის მეორე ნაწილით.

წინასწარი გამოძიება უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს ერთი თვისა სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან.

მუხლი 404. დაკავება და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება

იმ პირთ, რომლებიც ჩადენენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, დააკავებენ მილიციის ან მოკვლევის სხვა ორგანოები და ამყოფებენ პატიმრობაში. დაკავების საფუძველი და წესი განისაზღვრება ამ კოდექსის 121-ე მუხლით.

იმ პირობა მიმართ, რომლებიც ხულიგნური მოქმედებისათვის დააკავეს, აღკვეთის ღონისძიება სასამართლოში საქმის განხილვამდე, უნდა იყოს პატიმრობა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დაკავებულ პირთ აღკვეთის ღონისძიება, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე და სასამართლოში მის განხილვამდე, უნდა შეეფარდოს ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 405. საქმის აღძვრა სასამართლოში

სასამართლოს გამოაქვს განჩინება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, სამართალდამრღვევის სამართალში მიცემის შესახებ და განიხილავს საქმეს სასამართლოს სხდომაზე, თუ იგი სასამართლოში განხილვისათვის საკმარისად მიიჩნევს მასალებს იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით ან აბრუნებს მასალებს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიებისათვის, ხოლო თუ არ არსებობს საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად — უარს ამბობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, სამართალდამრღვევის სამართალში მიცემის და სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად დანიშვნის შესახებ.

მუხლი 406. საქმის განხილვა სასამართლოში

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს არაუგვიანეს ხუთი დღის ვადისა სასამართლოში შემოსვლის დღიდან.

ამ საქმეების განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია დააბრუნოს ისინი მოკვლევის ან წინასწარი გამოძიებისათვის, თუ აუცილებელი იქნა ისეთი ისეებითი მნიშვნელობის დამატებით გარემოებათა გარკვევა, რომელთა დადგენა სასამართლო სხდომაზე შეუძლებელია.

ხულიგნობის საქმე, რომელზეც ჩატარდა მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება, სასამართლომ უნდა განიხილოს არაუგვიანეს ათი დღის ვადისა სასამართლოში საქმის შემოსვლის დღიდან“.

II. შეტანილ იქნეს კოდექსის 126-ე მუხლში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

პირველ ნაწილში სიტყვები „228 I და III ნაწ.“ შეიცვალოს სიტყვებით „228 I და II ნაწ.“.

მეოთხე ნაწილში სიტყვები „228 II ნაწ.“ შეიცვალოს სიტყვებით „228 III ნაწ.“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბამე.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

201 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის ში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იგივე ქმედობა, თუ იგი ჩაიდინა იმ პირმა, რომელიც ადრე გასამართლებული იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევისათვის, აგრეთვე ორგანიზაციული მუშაობა აღნიშნული ქმედობის ჩასადენად, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი, 1966 წლის 3 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

202 რუსთავის მუშაკთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმას- კომის მუშაკების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის აშხ. ნ. ჰ. ებრალიძის მოხსენება საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მოსახლეობის კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისა და იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელიც იცისრეს ქალაქის მშრომელთა კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქის სახელწოდებისათვის ბრძოლაში.

საქალაქო საბჭოს სესიები და აღმასკომის სხდომები დადგენილ ვადებში ტარდება, სადაც იხილება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მრეწველობის, მშენებლობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა აქტუალური საკითხები, რომელთა მომზადება-განხილვაში მონაწილეობენ საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საინტერესო მუშაობას ატარებენ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებთან შექმნილი დეპუტატთა ჯგუფები, ისინი აცნობენ მოსახლეობას სესიისა და აღმასკომის გადაწყვეტილებებს და რაზმევენ მასებს მათ შესასრულებლად.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი სისტემატურ მუშაობას ატარებს საბინაო-მშენებლობის, ქალაქის კეთილმოწყობისა და საფინანსო შემოსავლების გვეგების შესრულებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საენსიო კანონმდებლობის სწორად გატარების საქმეს. ეს საკითხები სისტემატურად იხილება აღმასკომის სხდომებზე და საჭირო ღონისძიებები ისახება გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი საჭირო ყურადღებას არ აქცევს დებუტატებთან მუშაობის საქმეს. ნაწილი დებუტატებისა არ მონაწილეობს საბჭოს პრაქტიკულ საქმიანობაში — სესიებზე საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში, არადაამაკმაყოფილებელია სესიებზე დებუტატების დასწრება.

გასულ წელს საქალაქო საბჭოს 248 დებუტატიდან ამომრჩეველებს ანგარიში ჩააბარა 77 დებუტატმა, ხოლო მწლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით — 6 დებუტატმა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჯეროვან დახმარებას არ უწევს საბჭოს მუდმივ კომისიებს, სუსტად მუშაობენ საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო მშენებლობის მუდმივი კომისიები, ხოლო მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისია მთლიანად უმოქმედოა. მიმდინარე წელს საბჭოს 11 მუდმივი კომისიიდან 7 კომისიას არც ერთი საკითხი არ მოუმზადებია სესიისა და აღმასკომის სხდომებისათვის.

მუდმივი კომისიების მუშაობაში არ არის ჩაბმული აქტივი.

სუსტია მიღებულ გადაწყვეტილებათა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულების კონტროლი. ამ საქმეში არასაკმარისად იყენებენ მუდმივ კომისიებს, დებუტატებსა და აქტივს, რის შედეგადაც შეუსრულებელი რჩება რიგი ღონისძიება. არ არის შესრულებული საქალაქო საბჭოს 1966 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება — ფართოეკრანიანი კინოთეატრის მშენებლობის დამთავრებისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის შესახებ; 1966 წლის 27 ივლისისა — მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და სხვა.

ნაკლოვანებებია საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის საქმეში. ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები აუთვისებელია, შესრულებული რემონტის ხარისხი დაბალია. საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის შესრულებულია 90 პროცენტით, ხოლო კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობისა და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაო გეგმა — 86 პროცენტით; არადაამაკმაყოფილებელია საექსპლუატაციოდ გადაცემული ახალი საცხოვრებელი სახლების ხარისხი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობა და წარმოება-დაწესებულებები განიცდიან სასმელი და ტექნიკური წყლის ნაკლებობას, ძალიან ჭიანჭურდება ხრამი-რუსთავის წყალსადენის მშენებლობა.

ნაკლოვანებებია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში. დაბალია მოსახლეობის მომსახურების კულტურა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა. კომბინატის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 44 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 3,8 ათასი მანეთი. ნაკლები ყურადღება ექცევა სახელსწრების სპეციალიზაციას და გამსხვილებას. სულთან სასაზღადოებრივი კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობისადმი.

ქალაქის ზოგიერთ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. სკოლების მატერიალური ბაზა არასაკმარისია, რის გამო ქალაქის მოსწავლეთა 40 პროცენტი სწავლობს მეორე ცვლაში. ადგილი აქვს მოსწავლეების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ჯერ კიდევ გვხვდება ინფექციური დაავადების შემთხვევები.

ნაკლოვანებებია ვაკრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობაში. ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების და მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების ცალკეულ ფაქტებს.

არ სრულდება მოსახლეობის კინომომსახურების და კინოდან შემოსავლების სახელმწიფო გეგმები. მიმდინარე წლის გეგმა შესრულებულია 82,6 პროცენტით.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქალაქის ტერიტორიაზე ადგილი აქვს საშიშ დანაშაულობათა შემთხვევებს, როგორცაა აკვლელობა, სხეულის დაზიანება, სახელმწიფო ქონების დატაცება და ხულიგნობა.

ხულიგნობის შემთხვევები მიმდინარე წელს აღრიცხულია უფრო მეტი, ვიდრე გასულ წელს. სისხლის სამართლის დანაშაული გვხვდება მცირეწლოვანთა შორისაც. ხშირია ავტოტრანსპორტით უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტები.

ნაკლოვანებანია მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში. 1966 წელს აღმასკომში მიღებულ 4.080 განცხადებიდან ორგანიზაციებს გადაეგზავნა 2.785 განცხადება. აღმასკომში დარჩენილი 1.295 განცხადებიდან პასუხი დაგვიანებით გაეცა 175 განცხადებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაევალოს რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, რისთვისაც:

ა) მიიღოს ვადამჭრელი ზომები საბჭოს აღმასკომის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად, მიაღწიოს იმას, რომ საბჭოს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდეს ყველა დეპუტატი;

ბ) სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განიხილოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, რომელთა მომზადებასა და განხილვაში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოს აქტივი;

გ) სათანადო ყურადღება მიაქციოს დეპუტატების მიერ ამომჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს. დროულად უზრუნველყოს დეპუტატებ-

საცნობარო მასალით და დაეხმაროს მათ საანგარიშო კრებების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციაში. აღრიცხოს ამომრჩეველთა ყველა წინადადება და მიიღოს ზომები ამ წინადადებებისა და განაწესების შესასრულებლად.

დ) გააუმჯობესოს მუდმივი კომისიების მუშაობა, მიიღოს იმას, რომ მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში, მეტ ინიციატივას იჩენდნენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, გამოდიოდნენ თანამოხსენებით და პერიოდულად აბარებდნენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ;

ე) აღმასკომმა ყოველ სესიაზე მოახსენოს დეპუტატებს სესიიდან სესიამდე ჩატარებული მუშაობისა და წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამასთან, სისტემატური კონტროლი დააწესოს მიღებულ გადაწყვეტილებათა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებაზე და შემოწმების შედეგები განიხილოს საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე;

ვ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბავშვო დაწესებულებების, ფიზკულტურულ და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი, პერიოდულად შეისწავლოს და განიხილოს ეს საკითხები სესიებისა და აღმასკომის სხდომებზე;

ზ) მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს და სწორად წარმართოს მშრომელთა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, ყოველნაირად აამაღლოს მათი როლი და აქტიურად ჩააბას ისინი საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაში;

თ) გააძლიეროს კონკრეტული ხელმძღვანელობა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობისადმი, განამტკიცოს სავაჭრო ქსელი საქმისმცოდნე მუშაკებით, მიიღოს მკაცრი ზომები საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა მიმართ;

ი) სათანადო ღონისძიებანი გაატარონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოებისა და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გააძლიეროს კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი, ფართოდ ჩააბას ამ საქმეში დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები პერიოდულად უნდა აბარებდნენ ანგარიშს მოსახლეობას;

კ) ადმინისტრაციული ორგანოების მუშაყთა ფართო მონაწილეობით რეგულარულად ჩაატაროს ლექცია-მოხსენებები წარმოება-დაწესებულებებში და მოსახლეობაში სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ათვისტურ და სხვა აქტუალურ თემებზე. მოაწყოს თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ცალკეული კანონების განმარტებანი და სხვ.

ლ) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ქალაქის მოსახლეობის კინომომსახურების მკვეთრი გაუმჯობესების, კინოდან შემოსავლების გადიდებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად;

მ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დანაშაულობასთან ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის. პერიოდულად განიხილოს საბჭოს სესიებზე და აღ-



მასკომის სხდომებზე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხები. ამ დიდწინაშეწინააღმდეგობრივ საქმეში ფართოდ ჩააბას მშრომელთა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — სახალხო რაზმები, ამხანაგური სასამართლოები, ადმინისტრაციული და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები. კონკრეტული ღონისძიებანი გაატაროს დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

5) სათანადო წესრიგი დაამყაროს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში, უზრუნველყოს მიღებული განცხადების და საჩივრების ზუსტი აღრიცხვა და შედეგის დაწესებულ ვადებში შეტყობინება; პერიოდულად შეამოწმოს მშრომელთა მიღებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; გამოავლინოს საჩივრების გამომწვევი მიზეზები და მიიღოს ზომები მათი ლიკვიდაციისათვის.

2. დავივალოს რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ამხ. ნ. პ. ებრალიძე) 1967 წლის 1 ივლისისათვის წარმოუდგინოს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანაძე.

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული
კანონები და დადგენილებები**

(საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია)
კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**203 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967
წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

(ზრდა პროცენტულად 1966 წელთან შედარებით)

საკავშირო რესპუბლიკური და რესპუბლიკური
დაქვემდებარების მრეწველობის საერთო პროდუქტია — 5,7 პროცენტი
აქედან, რესპუბლიკური დაქვემდებარების
მრეწველობისა — 8,9 პროცენტი.

(ზრდა პროცენტობით
1966 წელთან შედარებით)
საქართველოს
საქართველოს

- სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობათა განსავითარებლად — 9,2 პროცენტი
- შრომის ნაყოფიერება:
რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 3,5 პროცენტი
მშენებლობაში — 6,0 პროცენტი
- მუხლი 3.** უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1967 წელს 1966 წელთან შედარებით გადიდდეს:
- სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა — 8,1 პროცენტით
- საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემა საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე — 17,0 პროცენტით
- რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების რიცხვი — 10,9 პროცენტით
- მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში — 21,5 პროცენტით
- სტუდენტთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში — 3,3 პროცენტით
- მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 11,9 პროცენტით
- მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა — 16,9 პროცენტით

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ის წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კაბახაძე.

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.



ქვემოთაშენი
წიგნი

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

204 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ, შემოსავლის ნაწილში — 985.585 ათასი მანეთის ოდენობით და სულ, გასავლის ნაწილში — 985,585 ათასი მანეთის ოდენობით, ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1968 წლის 1 იანვრისათვის — 29.568 ათასი მანეთის ოდენობით.


მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გადასახდელი ძირითად საწარმოო ფონდებზე და საბრუნავ სახსრებზე, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან — სულ 876.714 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 378.716 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის: საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის —

10147






სულ 565.585 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 114.250 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შესანახავად 22.169 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1967 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 934.963 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 603.003 ათასი მანეთის ოდენობით, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან და დოტაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან — 331.960 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1968 წლის 1 იანვრისათვის 18.091 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1967 წლისათვის შემდეგი თანხებით:



(ათას მანეთობაში)


საქსტატი
საქართველოს
სტატისტიკის ეროვნული სამსახური

	შემოსავალი	მათ შორის		გასავალი	საბუნებრივი სასარგებლო წილის I საფეხისათვის
		ანაიტები სახელმწიფო გადასახდებიდან და შემოსავლიდან	ლოტარია რესპუბლიკურ ბიუჯეტთან		
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	40.505.3	34.446.9	—	40.505.3	1.215
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	28.429.2	24.409.2	—	28.429.2	853
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	12.684.7	9.578.8	2.113.2	12.684.7	381
4. ქალაქი თბილისი	99.512.7	81.603.1	—	99.512.7	2.985
5. ქალაქი ქუთაისი	13.379.4	9.351.7	—	13.379.4	401
6. ქალაქი ფოთი	4.374.0	3.581.3	—	4.374.0	131
7. ქალაქი ქიათურა	4.539.2	4.169.8	—	4.539.2	136
8. ქალაქი რუსთავი	9.175.6	8.438.3	—	9.175.6	275
9. ქალაქი გორი	3.738.3	2.913.6	—	3.738.3	112
10. ქალაქი ტყიბული	3.211.7	2.871.3	—	3.211.7	96
11. ამაღის რაიონი	2.035.2	1.299.3	539.3	2.035.2	61
12. ადიგენის რაიონი	1.544.9	427.9	1.022.5	1.544.9	46
13. ამბროლაურის რაიონი	2.360.7	936.8	1.258.6	2.360.7	71
14. ასპინძის რაიონი	1.257.7	210.5	939.8	1.257.7	38
15. ახალქალაქის რაიონი	4.212.1	2.614.7	1.234.4	4.212.1	126
16. ახალციხის რაიონი	3.948.6	3.466.1	130.0	3.948.6	119
17. ახმეტის რაიონი	2.713.8	1.169.9	1.351.5	2.713.8	81
18. ბოგლანოვების რაიონი	2.422.8	522.0	1.739.3	2.422.8	73
19. ბოლნისის რაიონი	3.003.5	1.340.7	1.408.0	3.003.5	90
20. ბორჯომის რაიონი	3.031.1	2.633.3	—	3.031.1	91
21. გარდაბნის რაიონი	6.522.2	5.993.4	—	6.522.2	196
22. გეგეკორის რაიონი	4.195.6	1.158.6	2.765.2	4.195.6	126
23. გორის რაიონი	4.124.3	3.508.0	313.6	4.124.3	124
24. გურჯაანის რაიონი	4.503.4	4.076.7	—	4.503.4	135
25. დმანისის რაიონი	2.316.6	521.9	1.645.1	2.316.6	69
26. დუშეთის რაიონი	3.054.6	734.7	2.031.9	3.054.6	92
27. ვანის რაიონი	2.659.4	1.349.2	1.134.5	2.659.4	80
28. ზესტაფონის რაიონი	4.463.4	4.075.8	—	4.463.4	134
29. ზუგდიდის რაიონი	7.917.2	6.926.2	—	7.917.2	238
30. თეთრიწყაროს რაიონი	2.859.9	866.5	1.723.8	2.859.9	86
31. თელავის რაიონი	4.960.0	4.110.4	393.9	4.960.0	149
32. თერჯოლის რაიონი	2.445.4	1.551.3	755.6	2.445.4	73
33. თიანეთის რაიონი	1.976.0	394.7	1.453.9	1.976.0	59
34. ქასპის რაიონი	2.941.9	2.605.6	—	2.941.9	88
35. ლაგოდეხის რაიონი	3.282.4	2.981.0	—	3.282.4	98
36. ლანჩხუთის რაიონი	2.853.5	1.711.4	870.4	2.853.5	86

	შემოსავალი	მათ შორის		გამავალი	სამრეწველო სასაბურთაო საწარმოების წილის I ინვერსიისთვის
		ანარიცხები საბუნებისმეტყველო გარემოსდაცვით და შენობა-ნაგებობათა რესტავრაციისათვის	საბუნებისმეტყველო რესტავრაციისათვის		
37. ლენტეხის რაიონი	1.768.7	223.6	1.466.5	1.768.7	53
38. შიდაკავშირების რაიონი	2.519.9	636.0	1.738.0	2.519.9	76
39. მარნეულის რაიონი	4.818.1	4.828.6	—	4.818.1	144
40. მახარაძის რაიონი	5.066.3	4.552.9	—	5.066.3	152
41. მესტიის რაიონი	1.863.2	219.0	1.593.4	1.863.2	56
42. მცხეთის რაიონი	2.664.1	1.993.4	445.1	2.664.1	80
43. ონის რაიონი	2.117.4	2.015.3	—	2.147.4	64
44. ორჯონიკიძის რაიონი	2.779.0	996.0	1.636.5	2.779.0	83
45. საგარეჯოს რაიონი	2.588.0	1.446.0	977.6	2.588.0	78
46. სამტრედიის რაიონი	3.892.4	3.318.6	—	3.892.4	117
47. საჩხერის რაიონი	3.087.2	1.009.3	1.871.3	3.087.2	93
48. სიღნაღის რაიონი	3.269.4	2.449.8	435.7	3.269.4	98
49. ქარელის რაიონი	2.785.1	2560.1	—	2.785.1	84
50. ყაზბეგის რაიონი	1.172.0	137.8	976.6	1.172.0	35
51. ყვარლის რაიონი	2.749.6	918.9	1.615.2	2.749.6	82
52. ჩხატაურის რაიონი	2.559.3	903.6	1.470.2	2.559.3	77
53. ჩხოროწყუს რაიონი	2.401.3	765.7	1.500.5	2.401.3	72
54. ცაგერის რაიონი	2.039.8	557.7	1.331.3	2.039.8	61
55. ცხაქაიას რაიონი	3.731.7	3.250.3	—	3.731.7	112
56. წალენჯიხის რაიონი	2.757.2	1.510.2	1.058.8	2.757.2	83
57. წაღის რაიონი	3.273.7	773.8	2.282.6	3.273.7	98
58. წითელწყაროს რაიონი	2.628.3	1.543.1	811.1	2.628.3	79
59. წულუკიძის რაიონი	2.831.8	1.094.5	1.441.0	2.831.8	85
60. წყალტუბოს რაიონი	4.129.0	2.615.8	797.5	4.129.0	124
61. ხაშურის რაიონი	3.543.5	2.859.3	254.2	3.543.5	106
62. ხობის რაიონი	2.359.7	1.413.1	665.5	2.359.7	71
სულ	382.582.0	282.681.0	49.279.0	382.582.0	11.477.0

მუხლი 8. დამტკიცდეს 1967 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

- ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;
- ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;
- გ) მოსახლეობის სავალდებულო საგანაკეთო დაზღვევის გადასახდელებიდან — 40 პროცენტი;




დ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების, ცხოველების ნებაყოფილობითი დაზღვევის გადასახდელიდან — 100 პროცენტი;

ე) უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაზღვევის გადასახდელიდან — 100 პროცენტი;


ვ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცხოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები				
	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრ უცხოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	24	100	96	85	60,8
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	26	100	100	77	45,2
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100,0
4. ქალაქი თბილისი	21	—	—	81	22,0
5. ქალაქი ქუთაისი	20	—	—	63	14,3
6. ქალაქი ფოთი	40	100	100	99	53,5
7. ქალაქი ქიათურა	80	100	100	100	74,3
8. ქალაქი რუსთავი	100	—	—	100	77,3
9. ქალაქი გორი	61	—	—	96	43,0
10. ქალაქი ტყიბული	100	100	100	100	78,6
11. აბაშის რაიონი	100	100	100	100	100,0
12. ადიგენის რაიონი	100	100	100	100	100,0
13. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
14. ასპინძის რაიონი	100	100	100	100	100,0
15. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100,0
16. ახალციხის რაიონი	100	100	100	100	100,0
17. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100,0
18. ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	100,0
19. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100,0
20. ბორჯომის რაიონი	100	100	100	100	34,5
21. გარდაბნის რაიონი	50	—	100	100	52,9
22. გეგეუკორის რაიონი	100	100	100	100	100,0
23. გორის რაიონი	100	100	100	100	100,0
24. გურჯაანის რაიონი	50	100	100	100	66,5
25. დმანისის რაიონი	100	100	100	100	100,0
26. დუშეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
27. ვანის რაიონი	100	—	100	100	100,0
28. ზესტაფონის რაიონი	50	100	100	100	47,0
29. ზუგდიდის რაიონი	50	100	100	100	86,8
30. თეთრიწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0



	ანარიცხების პროცენტები				
	ვისახლეობის საშე- საქლო გადასახადიდან	კოლმეურნეობა სა- შეწრისაქლო გადასახა- დიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცხოეთო, უკრაინა, მარტოქელ და ცენტრალ- ოკეანის რეგიონების გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
31. თელავის რაიონი	100	100	100	100	100,0
32. თერჯოლის რაიონი	100	100	100	100	100,0
33. თიანეთის რაიონი	100	—	100	100	100,0
34. კასპის რაიონი	100	100	100	100	34,2
35. ლაგოდეხის რაიონი	100	100	100	100	47,8
36. ლანჩხუთის რაიონი	100	100	100	100	100,0
37. ლენტეხის რაიონი	100	—	100	100	100,0
38. მთიანეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
39. მარნეულის რაიონი	100	100	100	100	96,7
40. მახარაძის რაიონი	50	90	50	100	75,8
41. მესტიის რაიონი	100	100	100	100	100,0
42. მცხეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
43. ონის რაიონი	100	100	100	100	91,7
44. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
45. საგარეჯოს რაიონი	100	100	100	100	100,0
46. სამტრედიის რაიონი	50	100	100	100	21,3
47. საჩხერის რაიონი	100	100	100	100	100,0
48. სიღნაღის რაიონი	100	100	100	100	100,0
49. ქარელის რაიონი	50	100	100	100	70,3
50. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	100	100,0
51. ყვარლის რაიონი	100	100	100	100	100,0
52. ჩხატაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
53. ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	100,0
54. ცაგერის რაიონი	100	100	100	100	100,0
55. ცხაქაიას რაიონი	50	100	100	100	50,0
56. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100,0
57. წალკის რაიონი	100	100	100	100	100,0
58. წითელწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
59. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
60. წყალტუბოს რაიონი	100	100	100	100	100,0
61. ხაშურის რაიონი	100	—	100	100	100,0
62. ხობის რაიონი	100	100	100	100	100,0

მუხლი 9. დეველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, აგრეთვე დებუტატთა წინა-



დადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კაპაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 დეკემბერი.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

205 საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 1.049.101 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში — 1.046.335 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის გადამეტებით 2.766 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კაპაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

206 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე და 56-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1966 წლის 29 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ განათლების რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

1966 წლის 29 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შედეგად“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე და 56-ე მუხლებში და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 55.** საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებია:

განათლების;

ვაჭრობის;

თავდაცვის;

კავშირგაბმულობის;

კვების მრეწველობის;

კულტურის;

მელიორაციის და წყალთა მეურნეობის;

მსუბუქი მრეწველობის;

საგარეო საქმეთა;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის;

საშენ მასალათა მრეწველობის;

სოფლის მეურნეობის;

უმალღესი და საშუალო სპეციალური განათლების;

ფინანსთა;

სატყეო, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის;

ხორცისა და რძის მრეწველობის და

ჯანმრთელობის დაცვისა.

მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროებია:

ადგილობრივი მრეწველობის;

კომუნალური მეურნეობის;

მშენებლობის;

საავტომობილო ტრანსპორტის;

სასოფლო მშენებლობის და

სოციალური უზრუნველყოფისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭიანი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

207 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შემადგენელი ნორმის შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 28-ე მუხლის ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის ნორმის შეცვლის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 28-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს ირჩევენ რესპუბლიკის მოქალაქენი საარჩევნო ოლქების მიხედვით შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 11.000 მცხოვრებზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

208 „ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულება „ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.



კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

